მ) 2023 წლის 17 მარტის N01230761075-67 განცხადებით იანა პალიანმა (პ/ნ:01018003260) მოითხოვა ქალაქ თბილისში, კოჯორი, სოფელი კვესეთში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.81.28.042.003) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის მოხსნა;

ბ) 2023 წლის 13 მარტის N01230724163-67 (01230801449-67) განცხადებით ზაზა ჯოლოსავამ (პ/ნ:51001030203) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, ილია შეყლაშვილის ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.033.184) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება;

გ) 2023 წლის 17 იანვრის N01230172236-67 განცხადებით მარიამ მიხანიშვილმა (პ/ნ: 01020003305) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ჯანელიძის ქუჩა N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.13.065.028) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება;

დ) 2023 წლის 28 თებერვლის N01230591198-67 (01230653476-67) განცხადებით ბექა მინდიაშვილმა (პ/ნ: 01019070949) მოითხოვა ქალაქ თბილისში, გურამ ქუთათელაძის I გასასვლელი, N 8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.04.003.038) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა;

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა:

ა) ქალაქ თბილისში, გლდანის III მკ.რ მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.301) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონისა (რზ) და შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო N01.11.12.006.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს განიხილავს, როგორც კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა დასაკმაყოფილებლად განკუთვნილ განსაკარგავ უძრავ ქონებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 27 მარტის N0123086125 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა (რზ-3) და ურბანული (შიდაკვარტალური) ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გლდანის III მკ.რ მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.301) ნაწილზე სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი

ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონისა (რზ) და შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, დაბა წყეთში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩა N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.20.01.017.074) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 31 მარტის N01230903608 წერილის შესაბამისად, განსახილველ მონაკვეთებზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივ შენობა-ნაგებობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყეთში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩა N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.20.01.017.074) მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, ბერუაშვილის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.082) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილების ფარგლებში საპროექტო ტერიტორიას განიხილავს როგორც განკარგვისთვის განკუთვნილ მიწის ნაკვეთს.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლის მიხედვითაც საპროექტო ტერიტორიაზე დადგენილია ფუნქციური ზონები და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა. ტერიტორიაზე ზემოაღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ვრცელდება მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). შესაბამისად მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ მოხდება ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის

ჩრდილოეთით, ფაქტობრივად არსებულ გზასა (სატრანსპორტო ზონა 1-სა (ტზ-1) და საპროექტო ტერიტორიას შორის ხარვეზის სახით დარჩენილი სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბერუაშვილის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.082) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ითა (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, ფეიქრების ქუჩა N12-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.11.19.005.052-ის ნაწილზე; N01.11.19.005.176) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შემდგომში აღნიშნული ტერიტორიის სასაწყობე-სამეურნეო ფუნქციით განვითარება. სწორედ აღნიშნული მიზნით მოხდა ტერიტორიების გამოსყიდვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოდან, აუქციონის გზით.

მომიჯნავე და მიმდებარე ტერიტორია განვითარებულია სავაჭრო - კომერციული, სასაწყობე და ავტოტექნომოსახურების ობიექტებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 22 მარტის N01230813569 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ფენა სარეკრეაციო ზონა 2(რზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, ფრაგმენტულის სახით, საპროექტო მიწის ნაკვეთების მიმდებარედ, N01.11.19.005.049 საკადასტრო ერთეულზე ძირითადი და გამწვანებული რუკის მიხედვით, ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). აღნიშნულის ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება ხორციელდება N01.11.19.005.049 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) იხსენბა სრულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ფეიქრების ქუჩა N12-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.11.19.005.052-ის ნაწილზე; N01.11.19.005.176, N01.11.19.005.049) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, ალ. ჭავჭავაძის ქუჩა N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.05.014.009) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

N01.15.05.014.009 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ტერიტორიაზე არსებული სსიპ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის - ნიჭიერთა ათწლედის რეკონსტრუქცია (ერთი სართულის დაშენება).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 28 მარტის N60-01230873886 წერილის შესაბამისად აღნიშნული საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N10, 23.03.2023წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც ქ. თბილისში, ალ. ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.05.014.009) ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხს, არსებულ სამუსიკო სკოლაზე ერთი სართულის დაშენების მიზნით, მიეცა დადებითი შეფასება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად, დედაქალქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში, ხარვეზის სახით რჩება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3), რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ალ. ჭავჭავაძის ქუჩა N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.05.014.009) და მიმდებარე დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სპეციალური ზონა 1-ითა (სპეცზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში, ლაზოს ქუჩა N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.019.216) მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

კანონიერ ძალაში შესული, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 14 აპრილის №38/2265-21 გადაწყვეტილებით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შოთა წერელოვის (პირადი ნომერი: 01001044793) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შოთა წერელოვის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2020 წლის 25 ივნისის №1849 განკარგულება და ამავე კომისიას დაევალა გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი, შოთა წერელოვისათვის ქ. თბილისში, ლაზოს ქ. №14-ის მომიჯნავედ, საერთო ფართობით 252 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“.

ფუნქციური ზონის ცვლილებს მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული სატრანსპორტო (ტზ-1) მოხსნა მიწის ნაკვეთის აღიარების მიზნობრიობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიური პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 5 აპრილის N16-01230951115 წერილის მიხედვით, N01.11.04.019.216 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილების მოთხოვნა არ გულისხმობს სატრანსპორტო ქვეზონის პარამეტრის არსებით ცვლილებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, ქალაქ თბილისში, ლაზოს ქუჩა N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.019.216) მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია;

ზ) ქალაქ თბილისში, ქალაქ თბილისში, წერონისის ქუჩა 149 “ა“-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.14.068.045) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-ის) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის საზღვრების კრექტირება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიური პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 2 მარტის N01230613227 წერილის მიხედვით განცხადებაში წარმოდგენილი კონფიგურაციით, სატრანსპორტო ქვეზონის ფენის

გაუქმება არ წარმოადგენს სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კონტურის არსებით ცვლილებას და აღნიშნული ცვლილება არ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას განსახილველ ტერიტორიაზე, სამომავლოდ, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, წერონის ქუჩა 149 “ა“-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.14.068.045) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-ის) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია;

თ) ქალაქ თბილისში, ხონის ქუჩა N30-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.16.03.015.033) არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ტერიტორიის დარეგისტრირება და საზღვრების კორექტირება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიური პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 6 თებერვლის N01230373627 წერილის შესაბამისად საპროექტო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება არსებულ კონსტრუქციაზე (ღობეზე) და მას ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ხონის ქუჩა N30-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.03.015.033) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია.

ი) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ილია ჭავჭავაძის ქუჩა N9-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.20.01.016.044) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.20.01.016.044) საზღვრების კორექტირება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიური პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 27 მარტის N01230862343 წერილის შესაბამისად საპროექტო მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ტერიტორიაზე, რომელსაც ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. განცხადებაში წარმოდგენილი კონფიგურაციით, სატრანსპორტო ქვეზონის ფენის გაუქმება არ აისახება უარყოფითად განსახილველ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ილია ჭავჭავაძის ქუჩა N9-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.20.01.016.044) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღება;

კ) ქალაქ თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.11.04.019.695; N01.11.04.019.696-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, თავის კომპეტენციის ფარგლებში, განიხილავს ქალაქ თბილისში, გლდანში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არსებული N01.11.04.019.695 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე არეალზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1), შესაბამისად, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება არ გამოიწვევს განაშენიანების სტრუქტურის დარღვევას და არმოხდება ზონის ფრაგმენტიზაცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 27 მარტის N0123086127 წერილის მიხედვით, თავის კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.11.04.019.695; N01.11.04.019.696-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღება;

ლ) ქალაქ თბილისში, ქუჩა ჟორდანია, N21-23 მიმდებარედ არსებულ ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.13.022.071) ნაწილზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, თავის კომპეტენციის ფარგლებში, განიხილავს კრწანისის გამგეობის 2023 წლის 25 იანვრის N39-01230253214 წერილს, რომლითაც გამგეობა გეგმავს N01.18.13.022.071 საკადასტრო ერთეულზე სკვერის მოწყობას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 27 მარტის N0123086106 წერილის მიხედვით, თავის კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო არეალის ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო არეალის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ქუჩა ჟორდანია, N21-23 მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.13.022.071) ნაწილზე და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სარეკრეაციო ზონა 2-ითა (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ითა ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

მ) ქალაქ თბილისში, კოჯორი, სოფელი კვესეთში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.81.28.042.003) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის მოხსნა.

N01.81.28.042.003 საკადასტრო ერთეულზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება სატყეო ზონა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია სატყეო ზონის ფენა.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალზე გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), შესაბამისად, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება არ გამოიწვევს განაშენიანების სტრუქტურის დარღვევას და არ მოხდება ზონის ფრაგმენტიზაცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 27 მარტის N012308687 წერილის მიხედვით, თავის კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კოჯორი, სოფელი კვესეთში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.81.28.042.003) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

ნ) ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ილია შეყლაშვილის ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.033.184) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 17 მარტის N0123076633 წერილის მიხედვით, მოთხოვნილ მონაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევაში სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) დარჩენილი პარამეტრი საკმარისი იქნება სამომავლოდ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ჯეროვნად განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ილია შეყლაშვილის ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.033.184) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია;

ო) ქალაქ თბილისში, ჯანელიძის ქუჩა N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.13.065.028) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

საპროექტო არეალი წარმოადგენს დაურეგისტრირებელ ტერიტორიას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, 2023 წლის 27 თებერვლის N61-0123058567 წერილის მიხედვით, დაინტერესებაში არსებულ დაურეგისტრირებელ სივრცეზე,

გავრცელებული ფუნქციური ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) შეცვლა მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 25 იანვრის N01230251730 წერილის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმებით არ მოხდება სატრანსპორტო ზონის კონფიგურაციის არსებითი ცვლილება და მისი დარჩენილი სიგანე საკმარისი იქნება სამომავლოდ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ჯეროვნად განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჯანელიძის ქუჩა N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.13.065.028) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია;

3) ქალაქ თბილისში, გურამ ქუთათელაძის I გასასვლელი, N 8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.04.003.038) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

N01.12.04.003.038 საკადასტრო ერთეულის ნაწილსა და მიმდებარე არეალზე გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა (სზ), შესაბამისად, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება არ გამოიწვევს განაშენიანების სტრუქტურის დარღვევას და არ მოხდება ზონის ფრაგმენტიზაცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 27 მარტის N01230863899 წერილის მიხედვით, თავის კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გურამ ქუთათელაძის I გასასვლელი, N 8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.04.003.038) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა მისაღებია;

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ბ.ა“ და „ე.ბ“ ქვეპუნქტებისა და „ტექნიკური რეგლამენტის-დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის

2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად, შემდეგ საკითხებზე:

ა) ქალაქ თბილისში, გლდანის III მკ.რ მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.301) ნაწილზე სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონისა (რზ) და შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა;

ბ) ქალაქ თბილისში, დაბა წყეთში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩა N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.20.01.017.074) მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება;

გ) ქალაქ თბილისში, ბერუაშვილის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.082) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ითა (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება;

დ) ქალაქ თბილისში, ფეიქრების ქუჩა N12-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.11.19.005.052-ის ნაწილზე; N01.11.19.005.176, N01.11.19.005.049) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

ე) ქალაქ თბილისში, ალ. ჭავჭავაძის ქუჩა N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.05.014.009) და მიმდებარე დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სპეციალური ზონა 1-ითა (სპეცზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება;

ვ) ქალაქ თბილისში, ლაზოს ქუჩა N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.019.216) მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება;

ზ) ქალაქ თბილისში, წერონის ქუჩა 149 “ა“-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.14.068.045) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-ის) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება;

თ) ქალაქ თბილისში, ხონის ქუჩა N30-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.03.015.033) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება;

ი) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ილია ჭავჭავაძის ქუჩა N9-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.20.01.016.044) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება;

კ) ქალაქ თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.11.04.019.695; N01.11.04.019.696-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

ლ) ქალაქ თბილისში, ქუჩა ჟორდანია, N21-23 მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.13.022.071) ნაწილზე და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სარეკრეაციო ზონა 2-ითა (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ითა ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

მ) ქალაქ თბილისში, კოჯორი, სოფელი კვესეთში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.81.28.042.003) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის მოხსნა;

ნ) ქალაქ თბილისში, სოფელ დიდომში, ილია შეყლაშვილის ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.033.184) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება;

ო) ქალაქ თბილისში, ჯანელიძის ქუჩა N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.13.065.028) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება;

პ) ქალაქ თბილისში, გურამ ქუთათელაძის I გასასვლელი, N 8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.04.003.038) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმაღაძეს.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა) პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი/პირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა იწონებს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, შემდეგ საკითხებზე:

ა) ქალაქ თბილისში, გლდანის III მკ.რ მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.301) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონისა (რზ) და შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო N01.11.12.006.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს განიხილავს, როგორც კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა დასაკმაყოფილებლად განკუთვნილ განსაკარგავ უძრავ ქონებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 27 მარტის N0123086125 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა (რზ-3) და ურბანული (შიდაკვარტალური) ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გლდანის III მკ.რ მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.301) ნაწილზე სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონისა (რზ) და შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, დაბა წყეთში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩა N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.20.01.017.074) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 31 მარტის N01230903608 წერილის შესაბამისად, განსახილველ მონაკვეთებზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივ შენობა-ნაგებობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყეთში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩა N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.20.01.017.074) მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, ბერუაშვილის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.082) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილების ფარგლებში საპროექტო ტერიტორიას განიხილავს როგორც განკარგვისთვის განკუთვნილ მიწის ნაკვეთს.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლის მიხედვითაც საპროექტო ტერიტორიაზე დადგენილია ფუნქციური ზონები და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა. ტერიტორიაზე ზემოაღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ვრცელდება მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). შესაბამისად მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ მოხდება ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით, ფაქტობრივად არსებულ გზასა (სატრანსპორტო ზონა 1-სა (ტზ-1) და საპროექტო ტერიტორიას შორის ხარვეზის სახით დარჩენილი სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბერუაშვილის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.082) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ

ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ითა (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, ფეიქრების ქუჩა N12-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.11.19.005.052-ის ნაწილზე; N01.11.19.005.176) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შემდგომში აღნიშნული ტერიტორიის სასაწყობე-სამეურნეო ფუნქციით განვითარება. სწორედ აღნიშნული მიზნით მოხდა ტერიტორიების გამოსყიდვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოდან, აუქციონის გზით.

მომიჯნავე და მიმდებარე ტერიტორია განვითარებულია სავაჭრო - კომერციული, სასაწყობე და ავტოტექნომოსახურების ობიექტებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 22 მარტის N01230813569 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ფენა სარეკრეაციო ზონა 2(რზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, ფრაგმენტულის სახით, საპროექტო მიწის ნაკვეთების მიმდებარედ, N01.11.19.005.049 საკადასტრო ერთეულზე ძირითადი და გამწვანებული რუკის მიხედვით, ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). აღნიშნულის ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება ხორციელდება N01.11.19.005.049 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) იხსენბა სრულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ფეიქრების ქუჩა N12-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.11.19.005.052-ის ნაწილზე; N01.11.19.005.176, N01.11.19.005.049) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, ალ. ჭავჭავაძის ქუჩა N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.05.014.009) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

N01.15.05.014.009 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ტერიტორიაზე არსებული სსიპ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის - ნიჭიერთა ათწლედის რეკონსტრუქცია (ერთი სართულის დაშენება).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 28 მარტის N60-01230873886 წერილის შესაბამისად აღნიშნული საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N10, 23.03.2023წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც ქ. თბილისში, ალ. ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.05.014.009) ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხს, არსებულ სამუსიკო სკოლაზე ერთი სართულის დაშენების მიზნით, მიეცა დადებითი შეფასება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად, დედაქალქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში, ხარვეზის სახით რჩება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3), რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ალ. ჭავჭავაძის ქუჩა N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.05.014.009) და მიმდებარე დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სპეციალური ზონა 1-ითა (სპეცზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში, ლაზოს ქუჩა N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.019.216) მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

კანონიერ ძალაში შესული, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 14 აპრილის №38/2265-21 გადაწყვეტილებით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შოთა წერელოვის (პირადი ნომერი: 01001044793) სააპელაციო საჩივარი

დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შოთა წერელოვის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2020 წლის 25 ივნისის №1849 განკარგულება და ამავე კომისიას დაევალა გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი, შოთა წერელოვისათვის ქ. თბილისში, ლაზოს ქ. №14-ის მომიჯნავედ, საერთო ფართობით 252 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“.

ფუნქციური ზონის ცვლილებს მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული სატრანსპორტო (ტზ-1) მოხსნა მიწის ნაკვეთის აღიარების მიზნობრიობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიური პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 5 აპრილის N16-01230951115 წერილის მიხედვით, N01.11.04.019.216 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილების მოთხოვნა არ გულისხმობს სატრანსპორტო ქვეზონის პარამეტრის არსებით ცვლილებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, ქალაქ თბილისში, ლაზოს ქუჩა N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.019.216) მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია;

ზ) ქალაქ თბილისში, ქალაქ თბილისში, წერონისის ქუჩა 149 “ა“-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.14.068.045) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-ის) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის საზღვრების კრექტირება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიური პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 2 მარტის N01230613227 წერილის მიხედვით განცხადებაში წარმოდგენილი კონფიგურაციით, სატრანსპორტო ქვეზონის ფენის გაუქმება არ წარმოადგენს სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კონტურის არსებით ცვლილებას და აღნიშნული ცვლილება არ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას განსახილველ ტერიტორიაზე, სამომავლოდ, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, წერონისის ქუჩა 149 “ა“-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.14.068.045) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-ის) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია;

